სსიპ ივანე ჯავახიშვილის
სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №112/01-01,30.06.2016წ.
დანართი №1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზაარლანდისა (გერმანია) და ნანტის უნივერსიტეტების (საფრანგეთი) ერთობლივ საზაფხულო უნივერსიტეტში ა/წ 29 აგვისტოდან 9 სექტემბრის ჩათვლით მონაწილეობისათვის გამოყოფილი სტიპენდიების მოსაპოვებლად შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთაშერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის თსუ-ს ზაარლანდისა (გერმანია) და ნანტის უნივერსიტეტების (საფრანგეთი) ერთობლივ საზაფხულო უნივერსიტეტში ა/წ 29 აგვისტოდან 9 სექტემბრის ჩათვლით მონაწილეობისათვის გამოყოფილი სტიპენდიების მოსაპოვებლად კანდიდატთა შერჩევა.

2. კანდიდატი

კანდიდატები შეირჩევიან თსუ-ს აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს შორის, რომლებმაც ელექტრონულად განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე.

3. კანდიდატების შერჩევა

ა) კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით

1. მოტივაცია
2. ზეპირი პრეზენტაცია

4. კომისიის შეფასება

ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.

ბ) კანდიდატის მოტივაციისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაცია ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. სტიპენდიატების გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასების საფუძველზე.